სს „მისო ევრო კრედიტი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ინფორმაცია კომპანიის შესახებ	4
ინფორმაცია პროდუქტის შესახებ	5
მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ადამიანური რესურსები	7
სს „მისო ევრო კრედიტი“-ს ფინანსური მაჩვენებლები	7
საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	14
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	14
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	15
COVID 19 – ის რისკი და კომპანიის მიდგომა	16
სს “ევრო კრედიტი”-ს სამომავლო გეგმები	17
ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები	17

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

სს „მისო ევროკრედიტის" დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 23 სექტემბერს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს" სახელით

29 სექტემბერი 2020

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

სს „მისო ევროკრედიტის" დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2020 წლის 23 სექტემბერს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2019 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)



შპს „ბიდიოს" სახელით

29 სექტემბერი 2020

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „მისო ევრო კრედიტი“ არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობების და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N11

კომპანია დაფუძნდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანო 2011 წლის 22 ნოემბერს, სხვადასხვა ტიპის სესხების გამცემად ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. კომპანიამ მოიპოვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი 2015 წლის 22 დეკემბერს, ხოლო გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად 2018 წლის 25 დეკემბერს. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის წილობრივი მფლობელობა გადანაწილებულია შემდეგი პროპორციულობით:

Zuk China Stone Works Limited	75.51%
Mody Import & Marketing Ceramics LTD	7.99%
Iosef Reuven Grenikas	6.50%
Uri Zuk	5.00%
Oren Duanias	3.00%
Eyal Duanias	2.00%

კომპანიის მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე – ამირამ შარაბი, ისრაელის მოქალაქე. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი – მიხეილ ნონიკაშვილი.


სს „მისო ევრო კრედიტის“ სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:


1. თავმჯდომარე/წევრი: 0-5388748-5, 23326541, ამირამ შარაბი, ისრაელი
2. თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 0-1136441-1, 39019543, ემილ ბუდილოვსკი, ისრაელი
3. წევრი: 24001004346, მიხეილ ნონიკაშვილი, საქართველო

ინფორმაცია პროდუქტის შესახებ


კომპანია ევრო კრედიტი გასცემს როგორც არაუზრუნველყოფილ, ასევე უზრუნველყოფილ სესხებს. პროდუქტის ხანგძლივობა შეიძლება იყოს 3 თვიდან 72 თვემდე, დამოკიდებულია სესხის ტიპზე, მოცულობა კი 500 დან 50,000 ლარის ჩათვლით. 2017 წლის 15 იანვრის შემდეგ სესხის მაქსიმალურ ეფექტურ განაკვეთი განისაზღვრა 100%-ით, ხოლო 2018 წლის 1-ლი სექტემბრიდან - 50%-ით.


სესხების გაცემის რაოდენობისა და მოცულობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებებში.






გაცემული სესხების რეგიონალური განაწილების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკებზე:







მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ადამიანური რესურსები

სს “მისო ევრო კრედიტი“ პასუხისმგებლობით ეკიდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხს და მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს, როგორც მომსახურების ხარისხი, ასევე ზოგადად მომხმარებელის კმაყოფილება. ამას გარდა, კომპანია ითვალისწინებს 2016 წლის 23 დეკემბერს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ ბრძანებას (N 151/04) „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“.

კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის მთავარი ნაწილია, რომ მმართველი გუნდი დაკომპლექტებული იყოს მაღალი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე თანამშრომლებით. დეპარტამენტების მენეჯერების დანიშვნა/გაშვება უშუალოდ ხდება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. სამუშაო დღეების, მივლინებებისა და შვებულებების ადმინისტრირება ხდება სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით.

სს "მისო ევრო კრედიტის" ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის საკვანძო ფინანსური უწყისები (ლარში):

საბალანსო უწყისი -

	31/12/2019	31/12/2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,772,874	2,341,764
გაცემული სესხები	33,846,448	39,933,649
ძირითადი საშუალებები და მარაგები	528,592	288,505
სხვა აქტივები	212,492	158,669
აქტივების გამოყენების უფლება	3,465,672	-
საგადასახადო აქტივი	816,459	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	128,478	103,242
მთლიანი აქტივები	**41,771,015**	**42,825,829**
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	7,946,939	14,434,665
მიღებული სუბორდინირებული სესხები	9,090,214	7,148,561
საიჯარო ვალდებულებები	3,184,554	-
სხვა ვალდებულებები	1,703,427	1,379,614
საგადასახადო ვალდებულებები	-	1,727,944
მთლიანი ვალდებულებები	**21,925,134**	**24,690,784**
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	1,000,000	500,000
გაუნაწილებელი მოგება	18,845,881	17,635,045
მთლიანი კაპიტალი	**19,845,881**	**18,135,045**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	**41,771,015**	**42,825,829**

მოგება ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება -


	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	19,484,487	35,175,167
საპროცენტო ხარჯი	(3,856,393)	(10,701,137)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე	**15,628,094**	**24,474,030**
სესხის გაუფასურების ხარჯი	(6,828,518)	(3,157,081)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ანარიცხის შემდეგ	**8,799,576**	**21,316,949**
სხვა შემოსავალი	5,762,424	7,580,418
სხვა ხარჯები	(483,174)	(133,550)
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	(5,494,479)	(6,758,171)
პერსონალის ხარჯი	(4,947,934)	(5,087,334)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	(1,924,495)	(2,622,427)
მოგება დაბეგვრამდე	**1,711,918**	**14,295,885**
მოგების გადასახადის ხარჯი	25,236	(3,110,756)
საანგარიშგებო წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	**1,737,154**	**11,185,129**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -


	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე	**1,711,918**	**14,295,885**
ცვლილებები:		
საპროცენტო შემოსავალი	(3,956,251)	(6,889,163)
საპროცენტო ხარჯი	1,162,216	10,438,088
სესხის გაუფასურების ხარჯი	6,828,518	3,157,081
ცვეთა	592,151	40,383
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	1,924,495	2,622,427
საოპერაციო საქმიანობაში შემოსული წმინდა ფული სამუშაო კაპიტალში ცვლილებებამდე	**8,263,047**	**23,664,701**
მოძრაობა საბრუნავ საშუალებებში:		
გაცემული სესხები	3,244,870	(1,720,043)
სხვა აქტივები	(61,338)	(135,067)
სხვა ვალდებულებები	(30,202)	780,037
საგადასახადო აქტივი/ვალდებულებები	(2,544,403)	533,982
დაბეგვრამდე ფულის გასავალი საოპერაციო აქტივობიდან	**8,871,974**	**23,123,610**
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(2,274,446)
წმინდა ფული საოპერაციო აქტივობიდან	**8,871,974**	**20,849,164**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(351,628)	(296,990)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(351,628)**	**(296,990)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	3,803,702	2,814,738
გადახდილი სესხები	(11,259,813)	(22,097,405)
საიჯარო ვალდებულება	(638,044)	-
საემისიო კაპიტალის გაზრდა	500,000	250,000
დივიდენდი	(526,318)	(263,158)
ფინანსური საქმიანობიდან შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	**(8,120,473)**	**(19,295,825)**
გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები	**399,873**	**1,256,349**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	**2,341,764**	**1,120,403**
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	31,237	(34,988)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**2,772,874**	**2,341,764**


მთლიანი პორტფელის გადანაწილება ვადაგადაცილებული დღეების ჭრილში:


პორთფელის გადანაწილება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით




წლის ბოლოსთვის პორთფელის გადანაწილება ვადაგადაცილების და გაუფასურების რეზერვის მიხედვით







კომპანიის შემოსავლების ძირითად ნაწილს წარმოადგენს გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტები, ჯარიმები და საკომისიოები.



ქვემოთ მოცემულ გრაფაში მოცემულია კომპანიის ხარჯების გადანაწილება ხარჯების ტიპის შესაბამისად. მენეჯმენტი მომავალ საანგარიშგებო პერიოდებისთვის, მაქსიმალურად ეცდება, რომ მოახდინოს ხარჯების ოპტიმიზაცია და მაქსიმალურად ეფექტური გადანაწილება:

ხარჯის ტიპი	31/12/2019		31/12/2018	
ხელფასი	4,701,847	45%	4,583,163	39%
ბონუსი	101,932	1%	351,791	3%
სხვა დანარჩენი საგებელი თანამშრომლებს	144,155	1%	152,380	1%
იურიდიული ხარჯები	765,084	7%	1,073,733	9%
იჯარის ხარჯი	575,483	6%	997,387	8%
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	957,475	9%	995,287	8%
მანქანების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	248,140	2%	694,146	6%
ოფისთან დაკავშირებული ხარჯები	231,795	2%	395,839	3%
განაცხადების შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები	170,664	2%	376,512	3%
პროგრამული უზრუნველყოფის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯები	497,808	5%	308,350	3%
საწვავის ხარჯები	145,768	1%	257,414	2%
მივლინების ხარკები	288,740	3%	253,545	2%
სატელეკომუნიკაციო ხარჯები	270,942	3%	165,693	1%
	592,151	6%	40,383	0%
კომუნალური მომსახურების ხარჯები	54,977	1%	56,627	0%
საბანკო მომსახურების ხარჯები	35,410	0%	44,795	0%
დაცვის ხარჯები	179,843	2%	179,023	2%
საკონსულტაციო ხარჯები	145,633	1%	663,890	6%
სხვადასხვა ხარჯები	334,566	3%	255,547	2%
ჯამი	10,442,413		11,845,505	

ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი კაპიტალის ადეკვატურობის დასაკმაყოფილებლად, მენეჯმენტმა 2018 წელს გადაწყვიტა დამფუძნებლის მიერ ნასესხები სახსრების გარკვეული ნაწილის სუბორდინირებულად გარდაქმნა.


საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა არ მომხდარა

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე.

2017 წლის პირველ ნახევარში და 2018 წლის მესამე კვარტლის დასაწყისში ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულმა რეგულაციებმა საკმაოდ შეცვალა არსებული მდგომარეობა ბაზარზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ჯამური წმინდა პორტფელის მოცულობის და მთლიანი აქტივების ცვლილება თვალნათლივ ჩანს ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე:



წყარო : www.nbg.gov.ge

რა თქმა უნდა კომპანიის მომგებიანობის გეგმებზე საპროცენტო განაკვეთის ჭერის დაწესება ნეგატიურად აისახა, მაგრამ იგი ნაწილობრივ დაბალანსებული იქნა გამკაცრებული შეფასების სისტემით. კომპანიის გუნდის შეფასებით, დადებით ფინასური შედეგები ექნება იურიდიული დეპარტამენტის გარდაქმნას და გაეფექტურებას, რომელიც ვადაგადაცილებული თანხების ამოღებას შეძლებენ სასამართლოში ჩივილითა და აღსრულების იურიდიული მექანიზმებით. ასევე კომპანიისთვის დამატებით ფინანსური წყარო იქნება ვალუტის გაცვლის ოპერაციებიდან მიღებული სარგებელი.
კომპანიისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება სავალუტო რისკები, იქიდან გამომდინარე რომ, მოზიდული საკრედიტო სახსრები ძირითადად დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი). მომავალ საანგარიშგებო პერიოდისთვის იგეგმება ადგილობრივ და უცხოურ საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო ურთიერთობა, რათა მოხერხდეს სავალუტო რისკების ნაწილობრივი ან სრული ჰეჯირება.
2019 წლის პირველი იანვრიდან კომპანიას ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად აქვს ვალდებულება, რომ წინასწარ განსაზღვრულ კოეფიციენტით მეტი ლიკვიდური აქტივები ჰქონდეს, რაც ფაქტობრივად მინიმუმამდე ამცირებს ლიკვიდურობის სამომავლო რისკებს.
საქართველოს საკრედიტო ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია. მაგრამ ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებული რეგულაციები, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მცირე ზომის კომპანიებზე, რომლებიც ნელ-ნელა იძულებულნი ხდებიან გავიდნენ ბაზართან. აღნიშნული საკითხი ერთის მხრივ შეიძლება ჩაითვალოს დადებით ფაქტად. მაღალი კონკურენციის შესაბამისად ძირითად თამაშის წესებს განსაზღვრავს ბაზარი და უახლოვეს მომავალში მენეჯმენტის გადასახედიდან, ძირეული ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ შიდა ადამიანურ რესურსებზე დაყრდნობით მოახდინა ტრენინგების ჩატარება განვითარების და ტექნიკური ცოდნის ამაღლების კუთხით. ტრენინგების ძირითადი თემატიკა შეეხებოდა საოპერაციო სამუშაო პროგრამას (ალტა), მაიკროსოფტ ექსელის და გუგლ შიტებთან ეფექტურად მუშაობის და ცოდნის ამაღლებას. კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს, რომ ტრეინინგები და ცოდნის ამაღლებისთვის განკუთვნილი აქტივობები მომავალშიც გააგრძელოს, როგორც შიდა ასევ გარედან მოწვეული გამოცდილი ტრენერების მეშვეობით.

COVID 19 – ის რისკი და კომპანიის მიდგომა

2019 წლის ბოლოდან მოყოლებული, ჩინეთში, კერძოდ კი ვუჰანის პროვინციაში, დაიწყო ახალი კორონა ვირუსის გავრცელება (COVID-19). ვირუსის შეუსწავლელობამ, ვაქცინის არქონამ და გლობალიზაციის მაღალმა დონემ, მალევე ფართო მასებში ჰპოვა აღნიშნული ვირუსის გავრცელება. 2020 წლის თებერვლის დასაწყისში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ, კორონა ვირუსის დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა.
2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ანგარიშგების თარიღისთვის, კომპანიაზე ვირუსის შესაძლო ეფექტის განსაზღვრა შეუძლებელია. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში ვირუსით დაინფიცირების სტატისტიკა ძალიან მცირეა, ხოლო მოსახლეობის სიმცირიდან გამომდინარეა, ბევრად უფრო მარტივია ვირუსის გავრცელების მართვა ვიდრე მრავალმილიონიან ქვეყნებში, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ პანდემიას მატერიალური ეფექტო ვერ ექნება კომპანიის გრძელვადიან ოპერირებასა და გეგმებზე. მოქნილი მენეჯმენტის და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების ხარჯზე, საქართველოს საბანკო სექტორთან ერთად, კომპანიამ უზრუნველყო სესხების 2-3 თვით გადავადება იმ კლიენტებისთვის, რომელნიც მოკლევადიან პერიოდში შემოსავლის გარეშე ან შემცირებული შემოსავლით დარჩნენ. ქვეყანაში საგანგებო ვითარების დასრულებისთანავე, მალევე აღდგა სტატუსქვო ბიზნეს ოპერირების მიმართულებით.
ზომოთ ხსენებულის შესაბამისად, კორონავირუსის ეფექტი, ფასს-ების შესაბამისად, არის “არა-მაკორექტირებელი მოვლენა” და გამომდინარე აქედან 2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული პროგნოზები და შესაბამისი დაშვებები არ განიხილება, რომ განიცდის მატერიალურ კორექტირებებს.

პოსტ პანდემიის პერიოდში, კომპანიის მენეჯმენტმა პრიორიტეტი მიანიჭა დაკრედიტების პოლიტიკის და საოპერაციო პროცესების სასწრაფოდ განახლებას.

პირველ რიგში განახლდა პროდუქტის რისკ მატრიცა, სადაც მთავარი ცვლილება განიცადა უზრუნველყოფის ხანდაზმულობამ, სესხის მოცულობის თანაფარდობამ უზრუნველყოფასთან და კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების კრიტერიუმმა.
საოპერაციო მიმართულებით, მჭიდრო კომუნიკაცია დამყარდა სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან, რათა მომხდარიყო საოპერაციო სივრცეების მაქსიმალური თანხვედრა დადგენილ ჰიგიენურ მოთხოვნებთანა და ნორმებთან.

ორივე ზემოაღნიშნული ფაქტორის ეფექტურობის მატებისთვის, პარტნიორ კომპანიასთან ერთად შეიქმნა ინოვაციური საბარათე სისტემა, რომელიც არსებულ კლიენტებს საშუალებას აძლევს, ოფისებში მისვლის გარეშე მოახდინოს სესხის აღება/დამტკიცება და შემდგომ, სხვადასხვა არხების მეშვეობით მოახდინოს აღნიშნული თანხის გამოყენება ან შესაბამისი ხარჯების დაფარვა.
ძალზედ მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ კომპანიის მოქნილი გადაწყვეტილუნარიანობამ და ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა სწორმა პოლიტიკამ, კერძოდ კი ლიკვიდობის მაღალი ბუფერის შესანარჩუნებლად არსებულმა მოთხოვნებმა, უმტკივნეულოდ გადაატანინა საერთაშორისო ბაზარზე არსებული ლიკვიდობის რისკი.

სს "ევრო კრედიტის"-ს სამომავლო გეგმები

კომპანიის გეგმაა გახდეს ბაზრის ლიდერ მინიმუმ სამ მოთამაშეში, გააგრძელოს პორტფელის ზრდა, დაწიოს გადაუხდელობის რისკები (სქორინგის მაქსიმალურად გაუმჯობესების ხარჯზე) და ადეკვატურად მოახდინოს რეგულატორის მიერ დადგენილ წესებთან თანხვედრა. პერიოდულად განაახლოს პროდუქტების შეთავაზება პოტენციურ კლიენტებისთვის და მოხდეს კლიენტის და პროდუქტის ჭრილში პორთფელის დიფერსიფიცირება. ასევე მოახდინოს ნასესხები სახსრების დივერსიფიკაცია, როგორც მსესხებლის ჭრილში ასევე ვალუტის კუთხით (გაიზარდოს ლარში დენომინირებული ფონდების მოძიება)

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

ევროკრედიტის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი
მიხეილ ნონიკაშვილი

სს „მისო ევრო კრედიტი“ (ს/კ 404919102)
29 სექტემბერი, 2020 წელი

ორივე ზემოაღნიშნული ფაქტორის ეფექტურობის მატებისთვის, პარტნიორ კომპანიასთან ერთად შეიქმნა ინოვაციური საბარათე სისტემა, რომელიც არსებულ კლიენტებს საშუალებას აძლევს, ოფისებში მისვლის გარეშე მოახდინოს სესხის აღება/დამტკიცება და შემდგომ, სხვადასხვა არხების მეშვეობით მოახდინოს აღნიშნული თანხის გამოყენება ან შესაბამისი ხარჯების დაფარვა.
ძალზედ მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ კომპანიის მოქნილი გადაწყვეტილუნარიანობამ და ეროვნული ბანკის მიერ გატარებულმა სწორმა პოლიტიკამ, კერძოდ კი ლიკვიდობის მაღალი ბუფერის შესანარჩუნებლად არსებულმა მოთხოვნებმა, უმტკივნეულოდ გადაატანინა საერთაშორისო ბაზარზე არსებული ლიკვიდობის რისკი.

სს "ევრო კრედიტის"-ს სამომავლო გეგმები

კომპანიის გეგმაა გახდეს ბაზრის ლიდერ მინიმუმ სამ მოთამაშეში, გააგრძელოს პორტფელის ზრდა, დაწიოს გადაუხდელობის რისკები (სქორინგის მაქსიმალურად გაუმჯობესების ხარჯზე) და ადეკვატურად მოახდინოს რეგულატორის მიერ დადგენილ წესებთან თანხვედრა. პერიოდულად განაახლოს პროდუქტების შეთავაზება პოტენციურ კლიენტებისთვის და მოხდეს კლიენტის და პროდუქტის ჭრილში პორთფელის დიფერსიფიცირება. ასევე მოახდინოს ნასესხები სახსრების დივერსიფიკაცია, როგორც მსესხებლის ჭრილში ასევე ვალუტის კუთხით (გაიზარდოს ლარში დენომინირებული ფონდების მოძიება)

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

ევროკრედიტის 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი
მიხეილ ნონიკაშვილი

სს „მისო ევრო კრედიტი" (ს/კ 404919102)
29 სექტემბერი, 2020 წელი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „მისო ევრო კრედიტი" ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2019 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 11
2. მომზადების საფუძვლები 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 14
5. მფლობელთა სხვა შენატანები 18
6. ფული და ფულის ეკვივალენტები 18
7. კლიენტებზე გაცემული სესხები 18
8. ძირითადი საშუალებები 20
9. აქტივების გამოყენების უფლება 21
10. საგადასახადო აქტივი 21
11. გადასახადები 22
12. მიღებული და სუბორდინირებული სესხები 23
13. სხვა ვალდებულებები 24
14. სააქციო კაპიტალი 24
15. სხვა შემოსავლები 25
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 25
17. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 26
18. სხვა ხარჯები 26
19. პირობითი ვალდებულებები 26
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 26
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 28
22. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში 28
23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 30

T: +995 32 254 58 45
T: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტის" აქციონერებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **სს "მისო ევრო კრედიტის"** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც შედგება ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი დასკვნის საფუძველი

როგორც მე-12 შენიშვნაშია განმარტებული, ორგანიზაციამ დაკავშირებული მხარისგან მიიღო სესხები და სუბორდინირებული სესხები. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერში მიღებული სესხები და სუბორდინირებული სესხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია შესაბამისად 14,169,753 ლარის და 14,434,665 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება, რომ მიღებული სესხები და სუბორდინირებული სესხები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა შესაძლო საჭირო კორექტირების ეფექტი მიღებული სესხებისა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის ფინანსური რეპორტინგის პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;

შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე უუუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

23 სექტემბერი 2020

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	2,772,874	2,341,764
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	33,846,448	39,933,649
სხვა აქტივები		212,492	158,669
ძირითადი საშუალებები	8	528,592	288,505
აქტივის გამოყენების უფლება	9	3,465,672	-
საგადასახადო აქტივი	10	816,459	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	11	128,478	103,242
სულ აქტივები		**41,771,015**	**42,825,829**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	7,946,939	14,434,665
სუბორდინირებული სესხები	12	9,090,214	7,148,561
საიჯარო ვალდებულებები	9	3,184,554	-
სხვა ვალდებულებები	13	1,703,427	1,379,614
გადასახდელი გადასახადები	10	-	1,727,944
სულ ვალდებულებები		**21,925,134**	**24,690,784**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	1,000,000	500,000
გაუნაწილებელი მოგება და სხვა რეზერვები		18,845,881	17,635,045
მთლიანი კაპიტალი		**19,845,881**	**18,135,045**
ვალდებულებები და კაპიტალი		**41,771,015**	**42,825,829**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ მიხეილ ნონიკაშვილი

ფინანსური მენეჯერი _____ გუჯა ცინცაძე

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი		19,484,487	35,175,167
საპროცენტო ხარჯი		(3,856,393)	(10,701,137)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		**15,628,094**	**24,474,030**
გაუფასურების ხარჯი	7	(6,828,518)	(3,157,081)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**8,799,576**	**21,316,949**
სხვა შემოსავალი	15	5,762,424	7,580,418
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(5,494,479)	(6,758,171)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	17	(4,947,934)	(5,087,334)
სხვა ხარჯი	18	(483,174)	(133,550)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(1,924,495)	(2,622,427)
მოგება დაბეგვრამდე		**1,711,918**	**14,295,885**
მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი	11	25,236	(3,110,756)
მთლიანი სრული შემოსავალი		**1,737,154**	**11,185,129**

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	საქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება და სხვა რეზერვები	სულ
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	250,000	(9,828,323)	(9,578,323)
ტრანზაქციები მფლობელებთან (მე-5 შენიშვნა)	-	16,541,397	**16,541,397**
საქციო კაპიტალის ზრდა	250,000	-	**250,000**
დივიდენდები	-	(263,158)	**(263,158)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	11,185,129	**11,185,129**
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	500,000	17,635,045	18,135,045
საქციო კაპიტალის ზრდა	500,000	-	**500,000**
დივიდენდები	-	(526,318)	**(526,318)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,737,154	**1,737,154**
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,000,000	18,845,881	19,845,881

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		**1,711,918**	**14,295,885**
კორექტირება:			
საპროცენტო შემოსავალი		(3,956,251)	(6,889,163)
საპროცენტო ხარჯი		1,162,216	10,438,088
სესხების გაუფასურების ხარჯი	7	6,828,518	3,157,081
ცვეთა და ამორტიზაცია	16	592,151	40,383
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		1,924,495	2,622,427
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**8,263,047**	**23,664,701**
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:			
კლიენტებზე გაცემული სესხები		3,244,870	(1,720,043)
სხვა აქტივები		(61,338)	(135,067)
სხვა ვალდებულებები		(30,202)	780,037
საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)		(2,544,403)	533,982
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**8,871,974**	**23,123,610**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(2,274,446)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**8,871,974**	**20,849,164**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(351,628)	(296,990)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		**(351,628)**	**(296,990)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
შემოდინება მიღებული სესხებიდან		3,803,702	2,814,738
მიღებული სესხების დაფარვა		(11,259,813)	(22,097,405)
საიჯარო ვალდებულებები		(638,044)	-
სააქციო კაპიტალის ზრდა		500,000	250,000
დივიდენდები		(526,318)	(263,158)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		**(8,120,473)**	**(19,295,825)**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**399,873**	**1,256,349**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		2,341,764	1,120,403
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		31,237	(34,988)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		2,772,874	2,341,764

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეადგინა შესაბამისად, 15,528,237 და 28,286,003 ლარი.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ორგანიზაციის მიერ გადახდილმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა შესაბამისად, 2,694,177 და 263,048 ლარი.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი" არის სააქციო საზოგადაოება („ორგანიზაცია"), რომელიც 2011 წლის 22 ნოემბერს დარეგისტრირდა საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404919102.

ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ").

ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ორგანიზაცია მომხმარებელს სთავაზობს მიკრო და მცირე სესხებს (უზრუნველყოფილს ავტომანქანებით).

ორგანიზაციის მმართველი ორგანო არის პარტნიორთა საერთო კრება. ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობა ყველა ფილიალში ხორციელდება ფილიალის მენეჯერის მიერ, რომელსაც წარადგენს აღმასრულებელი დირექტორი და ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას ჰქონდა 9 ფილიალი საქართველოს მთავარ ქალაქებში. ორგანიზაციის ოფისი მდებარეობს გიორგი საკაძის მეორე გასასვლელში №11, თბილისი, საქართველო.

აქციონერები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქციონერები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
Zuk China Stone Works Limited	75.51%	75.51%
D. Mody Properties LTD	7.99%	7.99%
Iosef Reuven Grenikas	6.5%	6.5%
Uri Zuk	5%	5%
Oren Duanias	3%	3%
Eyal Duanias	2%	2%
	100%	100%

მოშე ზუკი იყო ორგანიზაციის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბ) ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების - #281/04 მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი რეგულაციები. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით ორგანიზაციას არ აქვს უფლება გასცეს სესხები ფიზიკური პირების გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. ახალი რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური და მდგრადი ოპერირება და წაახალისოს ჯანსაღი გარემო სესხის გაცემისთვის.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

ორგანიზაცია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, რომელიც ასევე ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. ანგარიშგებაში თანხები დამგვალებულია ათასებამდე, თუ სხვანაირად არ არის მითითებული. ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის

შესახებ, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 16 - იჯარა
- ფასიკ 23

ფასს 16 - ის ცვლილებების ეფექტი მოცემულია მე-19 შენიშვნაში. სხვა ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც ბასსკ-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ ორგანიზაციაზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური ორგანიზაციის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია ორგანიზაციის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ფასიკ 23-ში „მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, როგორ გამოიყენება ბასს 12-ის აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები იმ შემთხვევაში, როდესაც გაურკვეველია მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებული მიდგომები. ასეთ შემთხვევაში, ორგანიზაციამ მიმდინარე ან გადავადებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება უნდა აღიაროს და შეაფასოს ბასს 12-ის მოთხოვნების გამოყენებით, მაგრამ მოცემული ინტერპრეტაციის შესაბამისად განსაზღვრული საგადასახადო მოგების (ან ზარალის), საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტებისა და საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში, არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან არის ეფექტური და რომელთაც შესაძლოა ეფექტი ჰქონდეს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება)
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება)
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ამჟამად, ორგანიზაცია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

ორგანიზაცია არ ვარაუდობს, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ

იჯარის ვადები, ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა და საიჯარო გადახდები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ორგანიზაცია აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოსთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ იჯარის განახლების შესაძლებლობა განიხილება ბიზნეს პროცესების შესწავლიდან გამომდინარე და არა კონტრაქტში განსაზღვრული პირობის მიხედვით. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი აღიარება გულისხმობს სამომავლო გადახდების დაანგარიშებას მიმდინარე სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

3, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ორგანიზაცია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ორგანიზაცია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახდო დეკლარაციების დასაბუთება, თუმცა მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად ორგანიზაცია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოვებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ორგანიზაცია დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	2,676,382	2,332,768
გაცემული სესხები	33,846,448	39,933,649
	36,522,830	**42,266,417**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ორგანიზაცია მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	7,946,939	-	**7,946,939**
სუბორდინირებული სესხები	3,380,760	14,563,590	**17,944,350**
საიჯარო ვალდებულებები	839,998	2,982,600	**3,822,598**
სხვა ვალდებულებები	1,703,427	-	**1,703,427**
	13,871,124	**17,546,190**	**31,417,314**

ყველა ფინანსური ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 1 წლამდე ვადით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო

განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	**ლარი**	**დოლარი**	**სულ**
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,322,943	449,931	2,772,874
გაცემული სესხები	33,769,388	77,060	33,846,448
სულ ფინანსური აქტივები	36,092,331	526,991	36,619,322

ფინანსური ვალდებულებები	**ლარი**	**დოლარი**	**სულ**
მიღებული სესხები	-	7,946,939	7,946,939
სუბორდინირებული სესხები	-	9,090,214	9,090,214
საიჯარო ვალდებულებები	459,555	2,724,999	3,184,554
სხვა ვალდებულებები	1,372,446	330,981	1,703,427
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,832,001	20,093,133	21,925,134
ღია საბალანსო პოზიცია	34,260,330	(19,566,142)	14,694,188

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	**ლარი**	**დოლარი**	**სულ**
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,264,924	76,840	2,341,764
გაცემული სესხები	39,534,000	399,649	39,933,649
სულ ფინანსური აქტივები	41,798,924	476,489	42,275,413

ფინანსური ვალდებულებები	**ლარი**	**დოლარი**	**სულ**
მიღებული სესხები	-	14,434,665	14,434,665
სუბორდინირებული სესხები	-	7,148,561	7,148,561
სხვა ვალდებულებები	1,246,064	133,550	1,379,614
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,246,064	21,716,776	22,962,840
ღია საბალანსო პოზიცია	40,552,860	(21,240,287)	19,312,573

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. მოგებაზე გავლენა მოგება/ზარალის უწყისსა და კაპიტალზე ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების საფუძველზე 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	(ლარი / აშშ დოლარი)	
მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაზე	2019	2018
20% ზრდა	(3,302,032)	(4,248,057)
20% შემცირება	3,302,032	4,248,057

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ორგანიზაციის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ორგანიზაციის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

5. მფლობელთა სხვა შენატანები

	2018
პორტფელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	**34,134,929**
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება:	**17,593,532**
მთლიანი პორტფელი	34,134,929
გაუფასურება	(11,994,007)
სხვა (საპროცენტო შემოსავლის კორექტირება ფასს 9-ის მიხედვით)	(4,547,390)
პორტფელის გაყიდვიდან მიღებული სარგებელი	**16,541,397**

2018 წლის 30 ნოემბერს ორგანიზაციამ მიყიდა სესხის პორტფელი დაკავშირებულ მხარეს - შპს „ევროკრედიტ +"-ს 34,124,929 ლარად. შპს „ევროკრედიტ +"-მა დაფარა ვალდებულებები სესხების გადახურვით (გაყიდვის ფასით), რომელიც მისგან ორგანიზაციას ჰქონდა აღებული (იხ. მე-12 შენიშვნა). გაყიდული პორტფელის უმეტესი ნაწილი შეადგენდა ვადაგადაცილებულ სესხებს.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	96,492	8,996
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,910,228	2,117,893
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	375,231	74,349
ფული გზაში	390,923	140,526
	2,772,874	**2,341,764**

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-4 შენიშვნაში.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მთლიანი გაცემული სესხები	47,199,673	47,193,403
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(13,353,225)	(7,259,754)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**33,846,448**	**39,933,649**

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2019		
გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	**სულ სესხები**	**ECL**	**წმინდა სესხები**

მიმდინარე და გაუფასურების ნიშნების გარეშე	26,804,567	(2,833,282)	23,971,285
30 დღემდე ვადაგადაცილებით	2,472,404	(402,523)	2,069,881
30–60 დღემდე ვადაგადაცილებით	908,732	(225,203)	683,529
60–90 დღემდე ვადაგადაცილებით	584,053	(196,277)	387,776
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	12,149,895	(7,517,209)	4,632,686
რესტრუქტურიზებული (90 დღეზე ნაკლები)	1,086,433	(218,747)	867,686
რესტრუქტურიზებული (90 დღეზე მეტი)	3,193,589	(1,959,984)	1,233,605
	47,199,673	**(13,353,225)**	**33,846,448**

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018		
გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	**სულ სესხები**	**ECL**	**წმინდა სესხები**
მიმდინარე და გაუფასურების ნიშნების გარეშე	23,459,451	(2,099,102)	21,360,349
30 დღემდე ვადაგადაცილებით	7,009,575	(850,825)	6,158,750
30–60 დღემდე ვადაგადაცილებით	2,687,813	(470,279)	2,217,534
60–90 დღემდე ვადაგადაცილებით	1,645,119	(387,755)	1,257,364
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	5,610,798	(2,540,645)	3,070,153
რესტრუქტურიზებული (90 დღეზე ნაკლები)	5,302,165	(260,416)	5,041,749
რესტრუქტურიზებული (90 დღეზე მეტი)	1,478,482	(650,732)	827,750
	47,193,403	**(7,259,754)**	**39,933,649**

ორგანიზაციამ დააწესა შიდა პოლიტიკა უზრუნველყოფილ სესხებზე. სესხები უზრუნველყოფილია სატრანსპორტო საშუალებებით. უზრუნველყოფის შეფასება ხდება LTV კოეფიციენტის დახმარებით (მაქსიმუმი კოეფიციენტი არის 85% ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	
	12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	**სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურების გარეშე**	**სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული**	**სულ**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,139,841**	**928,536**	**3,191,377**	**7,259,754**
გადასვლა პირველ ეტაპზე	1,188,120	(484,364)	(703,756)	-
გადასვლა მეორე ეტაპზე	(67,443)	84,404	(16,961)	-
გადასვლა მესამე ეტაპზე	(284,613)	(416,570)	701,183	-
სესხის გაუფასურების ხარჯი	(544,613)	332,735	7,040,396	**6,828,518**

წლის განმავლობაში ჩამოწერა	-	-	(735,047)	(735,047)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	3,431,292	444,741	9,477,192	13,353,225

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	
	12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურების გარეშე	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის ბასს 39-ის მიხედვით				-
კორექტირება ფასს 9-ის მიხედვით				16,306,268
ნაშთი წლის 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ის მიხედვით	4,933,500	1,515,472	9,857,296	16,306,268
გადასვლა პირველ ეტაპზე	109,284	(91,957)	(17,327)	-
გადასვლა მეორე ეტაპზე	(593,455)	593,598	(143)	-
გადასვლა მესამე ეტაპზე	(2,043,584)	(4,797)	2,048,381	-
სესხის გაუფასურების ხარჯი წლის განმავლობაში	734,096	(1,083,780)	3,506,765	3,157,081
ჩამოწერა	-	-	(209,588)	(209,588)
გაყიდული სესხები წლის განმავლობაში	-	-	(11,994,007)	(11,994,007)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	3,139,841	928,536	3,191,377	7,259,754

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	29,145	-	-	29,145
შესყიდვა	174,293	126,969	-	301,262

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	203,438	126,969	-	330,407
შესყიდვა	189,733	144,122	17,773	351,628
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	393,171	271,091	17,773	682,035
აკუმულირებული ცვეთა				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1,519)	-	-	(1,519)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(21,338)	(19,045)	-	(40,383)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(22,857)	(19,045)	-	(41,902)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(75,976)	(33,425)	(2,140)	(111,541)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(98,833)	(52,470)	(2,140)	(153,443)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	180,581	107,924	-	288,505
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	294,338	218,621	15,633	528,592

9. აქტივების გამოყენების უფლება

ორგანიზაცია ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრიდან იყენებს. ორგანიზაციამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტზე გადასვლა არ გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) საკუთარი კაპიტალის საწყის ნაშთში. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-22 შენიშვნაში.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აქტივის გამოყენების უფლება
2019 წლის 1 იანვრისთვის	1,415,004
ახალი იჯარა	2,531,278
ამორტიზაცია	(480,610)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	3,465,672

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საიჯარო ვალდებულება
2019 წლის 1 იანვრისთვის	1,415,004
ახალი იჯარა	2,177,146
საპროცენტო ხარჯი	193,961
საიჯარო გადასახადი	(638,044)
უცხოური ვალუტის გადაფასება	36,487
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	3,184,554

10. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ორგანიზაციებმა გადასახადები უნდა გადაიხადონ გაერთიანებული საგადასახადო ანგარიშზე არსებული ნაშთის შესაბამისად, აღნიშნულის გამო 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია განაშთული.

11. გადასახადები

15%-იანი დროებითი სხვაობები გამოწვეულია:	1 იანვარი 2018	გამოკლებული (დამატებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2018	გამოკლებული (დამატებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2019
გაცემული სესხები	2,592,458	(1,364,005)	1,228,453	(495,512)	732,941
ძირითადი საშუალებები	-	(43,276)	(43,276)	(36,013)	(79,289)
აქტივის გამოყენების უფლება	-	-	-	(519,851)	(519,851)
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-	477,683	477,683
სხვა ვალდებულებები	-	-	-	20,648	20,648
წინა წლებში დაგროვილი ზარალი	-	-	-	944,909	944,909
გადავადებული საგადასახადო აქტივი	2,592,458	(1,407,281)	1,185,177	391,864	1,577,041
აუღიარებელი დროებითი სხვაობები					
გაცემული სესხები	(2,445,940)	1,364,005	(1,081,935)	348,994	(732,941)
წინა წლებში დაგროვილი ზარალი	-	-	-	(715,622)	(715,622)
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	146,518	(43,276)	103,242	25,236	128,478

გადავადებული საგადასახადო აქტივი არის აღიარებული მხოლოდ იმ აქტივებისთვის, რომლისთვისაც ხელმძღვანელობა სჯერა, რომ შეძლებს აღნიშნული აქტივის გამოყენებას შემდეგი 3 წლის განმავლობაში.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	(3,067,480)

დროებითი სხვაობების ეფექტი	25,236	(43,276)
მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი)	**25,236**	**(3,110,756)**

დროებით სხვაობებში ცვლილებების საგადასახადო ეფექტი აღრიცხული 15%-ანი განაკვეთით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მოგება დაბეგვრამდე	**1,711,918**	**14,295,885**
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი	**(256,788)**	**(2,144,383)**
აუღიარებელი საგადასახადო აქტივის ეფექტი	(715,622)	(1,081,935)
წინა პერიოდში აუღიარებელი საგადასახადო აქტივის ეფექტი	348,994	-
მუდმივი სხვაობების ეფექტი	648,652	115,562
მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	**25,236**	**(3,110,756)**

12. მიღებული და სუბორდინირებული სესხები

შემდეგ ცხრილში მოცემულია მიღებული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

				31 დეკემბერი 2019	
	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	ვალუტა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ევროკრედიტ +	24%	3-თებ-20	დოლარი	1,412,712	7,431
Tom Holdings Ltd	12%	31-ივლ-2020	დოლარი	1,433,490	-
Ronni Biram Investments Ltd	12%	31-ივლ-2020	დოლარი	1,433,910	-
WGH Georgia Investments Ltd	20%	მოთხოვნამდე	დოლარი	3,649,398	9,998
				7,929,510	17,429

WGH Georgia Investments Ltd-ისგან მიღებული სესხი მოთხოვნამდეა და მისი დაფარვის მოთხოვნა მსესხებელს შეუძლია სრულად ნებისმიერ დროს. როგორც მე-20 განმარტებით შენიშვნაშია გაშიფრული WGH Georgia Investments Ltd და ორგანიზაცია არიან საერთო კონტროლს დაქვემდებარებულები.

შემდეგ ცხრილში მოცემულია მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

				31 დეკემბერი 2018	
	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	ვალუტა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ევროკრედიტ +	24%	3-თებ-20	დოლარი	12,487,537	1,947,128
				12,487,537	1,947,128

შემდეგ ცხრილში მოცემულია სუბორდინირებული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2019

	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	ვალუტა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ევროკრედიტ +	24%	1-დეკ-24	დოლარი	3,752,973	792,134
ევროკრედიტ +	24%	1-დეკ-24	დოლარი	3,752,973	792,134
				7,505,946	1,584,268

შემდეგ ცხრილში მოცემულია სუბორდინირებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

				31 დეკემბერი 2018	
	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	ვალუტა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ევროკრედიტ +	24%	1-დეკ-24	დოლარი	3,502,879	71,401
ევროკრედიტ +	24%	1-დეკ-24	დოლარი	3,502,879	71,402
				7,005,758	142,803

სუბორდინირებული სესხის ძირი გადაიხდება დასრულების თარიღისას, ხოლო სესხის პროცენტი ყოველთვიურად.

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ და სუბორდინირებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად ასევე არაფულად ნაკადებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2019	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	21,583,226	62,245,777
ფულადი ნაკადები	(10,150,288)	(19,557,542)
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდში დარიცხული პროცენტი	3,662,432	10,701,137
მიღებული სესხების და სესხის პორტფელის გადახურვა (მე-5 შენიშვნა)	-	(34,134,929)
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი	1,941,783	2,328,783
ნაშთი წლის ბოლოს	17,037,153	21,583,226

13. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოკლევადიანი საიჯარო გადასახდელები*	1,160,982	826,000
სხვა ფინანსური ვალდებულებები	542,445	553,614
	1,703,427	1,379,614

* მოკლევადიანი საიჯარო გადასახდელები მოიცავს იჯარებს 12 თვეზე ნაკლები ვადით.

14. სააქციო კაპიტალი

აქციონერები	პროცენტი	31 დეკემბერი	31 დეკემბერი

		2019	2018
Zuk China Stone Works JSC	75.51%	755,100	377,550
D. Mody Properties LTD	7.99%	79,900	39,950
Iosef Reuven Grenikas	6.5%	65,000	32,500
Uri Zuk	5%	50,000	25,000
Oren Duanias	3%	20,000	10,000
Eyal Duanias	2%	30,000	15,000
	100%	1,000,000	500,000

ეროვნული ბაკის რეგულაციების შესაბამისად კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით 2019 წლის 28 ივნისს ორგანიზაციამ სააქციო კაპიტალი 500,000 ლარით გაზარდა.

15. სხვა შემოსავლები

	2019	2018
ჯარიმები და საკომისიოები	5,263,999	6,641,720
წინსწრებით დაფარვის საკომისიო	242,147	266,303
სხვა	256,278	672,395
	5,762,424	7,580,418

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
მარკეტინგის ხარჯი	(957,475)	(995,287)
იურიდიული ხარჯები	(765,084)	(1,073,733)
ცვეთა და ამორტიზაცია	(592,151)	(40,383)
იჯარის ხარჯი	(575,483)	(997,387)
აიტი კონსულტაციის ხარჯი	(497,808)	(308,350)
მივლინების ხარჯი	(288,740)	(253,545)
კომუნიკაცია	(270,942)	(165,693)
დასაკუთრებულ მანქანებთან დაკავშირებული ხარჯი	(248,140)	(694,146)
ოფისის ხარჯი	(231,795)	(395,839)
უსაფრთხოების ხარჯი	(179,843)	(179,023)
სესხის განაცხადის შემოწმების ხარჯი	(170,664)	(376,512)
საწვავის ხარჯი	(145,768)	(257,414)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი*	(145,633)	(663,890)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(54,977)	(56,627)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(35,410)	(44,795)
სხვა	(334,566)	(255,547)
	(5,494,479)	(6,758,171)

*საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები მოიცავს აუდიტის საფასურს 66,790 ლარის და 69,686 ლარის ოდენობით 2019 და 2018 წლებისთვის, შესაბამისად.

ორგანიზაციამ მანქანების დასაკუთრებასთან დაკავშირებული ხარჯების, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, აღნიშნული სერვისები ნაწილის შეძენის ნაცვლად, თანამშრომლების მოვალეობების გაზარდა.

17. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2019	2018
ხელფასი	(4,701,847)	(4,583,163)
სხვა სარგებელი	(246,087)	(504,171)
	(4,947,934)	(5,087,334)

18. სხვა ხარჯები

	2019	2018
ინვესტორების მოძიების ხარჯები	(408,792)	(133,550)
სხვა	(74,382)	-
	(483,174)	(133,550)

2018 წლის 1 სექტემბერს ორგანიზაციას და Zuk China Stone Limited-შორის გაფორმდა ხელშეკრულება ფინანსურ მომსახურებაზე, რაც დაკავშირებულია Zuk China Stone Limited-ის მიერ ორგანიზაციისთვის ინვესტორების მოძიებასთან.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა.

ორგანიზაციის კლიენტების მხრიდან სესხის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანიზაცია იწყებს სასამართლო დავას კლიენტის წინააღმდეგ. ასეთი დავის უმაღლესი შესაძლო შედეგი არის კლიენტისგან მისაღები სესხის თანხა (მოიცავს დარიცხულ პროცენტს და სხვა ხარჯებს).

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კლიენტის მიერ სასესხო ვალდებულების დაფარვა ხასიათდება განუსაზღვრელობით, ორგანიზაცია ქმნის ანარიცხს სესხების გაუფასურებისთვის, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

მმართველობის ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) ორგანიზაციას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, ორგანიზაციას ჯერ არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე", წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ,

დამფუძნებელ ორგანიზაციასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ორგანიზაციაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ორგანიზაციაზე;

(ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2019 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	აქციონერები	ძირითადი მმართველი პირები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ
მიღებული სესხები	-	-	5,079,539
სუბორდინირებული სესხები	-	-	9,090,214
სხვა ვალდებულებები	-	-	1,387,744
სხვა აქტივები	-	-	68,418
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	(42,183)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(182,625)	-
საპროცენტო ხარჯი	-	-	(3,032,953)
ფინანსური მომსახურება	(408,792)	-	-

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2018 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	აქციონერები	ძირითადი მმართველი პირები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ
მიღებული სესხები	-	-	14,434,665
სუბორდინირებული სესხები	-	-	7,148,561
სხვა ვალდებულებები	-	-	995,526
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(160,985)	-	(695,548)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(396,368)	-
საპროცენტო ხარჯი	-	-	(10,701,137)
ფინანსური მომსახურება	(133,550)	-	-

2018 წელს სესხის პორტფელი გაყიდული იქნა დაკავშირებულ მხარეზე (დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კორონავირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება.

2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები.

2020 წლის 24 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და საყოველთაო კარანტინი. 2020 წლის 8 ივნისიდან დაშვებულია ყველა ეკონომიკური საქმიანობა სოციალური დისტანციის დაცვითა და პირბადით, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია, თუმცა პანდემიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლო ეფექტი შეიძლება იყოს შემდეგი:

- გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის ზრდა მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის გაუარესების გამო.

სესხები და სუბორდინირებული სესხები

2020 წლის 12 მარტს მოხდა ევრო კრედიტ+-ისგან მიღებული სესხების, მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებების და სუბორდინირებულ სესხებზე დარიცხული პროცენტის რეფინანსირება მოხდა, ახალ სუბორდინირებულ სესხად (4,328,836 ლარის ოდენობით 6 წლის ვადით).

2020 წლის ივლისში, ორგანიზაციამ სრულად დაფარა Tom Holdings Ltd-ისგან და Ronni Biram Investments ltd-ისგან მიღებული სესხები.

22. ცვლილებები საღრიცხვო პოლიტიკაში

ორგანიზაცია ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრიდან იყენებს. ორგანიზაციამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის

გადასვლა არ გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) საკუთარი კაპიტალის საწყის ნაშთში.
ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 – „იჯარა“ და ფასიკ 4 – „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა კომპონენტი იჯარას“. ფასს 16-ის შესაბამისად მიღებული იჯარა აღიარდება, როგორც აქტივი და ვალდებულება.

ფასს 16 ითვალისწინებს გამარტივებულ მიდგომას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან რომელიც უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას. გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან. ორგანიზაციას არ აქვს მნიშვნელოვანი საიჯარო საქმიანობა, როგორც მეიჯარეს.

გადასვლის მეთოდი და გამოყენებული გათავისუფლება

ორგანიზაციამ გამოიყენა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა: სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არ ევალება იმის ხელახლა შეფასება, ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა საიჯარო ხელშეკრულებას, ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის „იჯარა“ და ფასიკ 4-ის „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ შესაბამისად კლასიფიცირებული არ ჰქონდა, როგორც იჯარის შემცველი ხელშეკრულება, არ მოხდა ფასს 16-ის გამოყენება. ფასს 16-ის მიხედვით იჯარის იდენტიფიკაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც დაიწყო ან ცვლილება შევიდა 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.
ფასს 16-ით დაშვებულია გათავისუფლებები, რომელთა ნაწილი ეხება სტანდარტის პირველადი გამოყენების შემთხვევას. ადრე, ბასს 17-ით საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარის მიმართ ორგანიზაციამ გამოიყენა ფასს 16-ის შემდეგი გათავისუფლებები:
ა) არ გაითვალისწინა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივის გამოყენების უფლების შეფასებაში, იმ იჯარებისთვის, რომლებისთვისაც აქტივების გამოყენების უფლება იყო განსაზღვრული ისე, როგორც განსაზღვრა მოხდებოდა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფასს 16-ის გამოყენების შემთხვევაში;
ბ) არ აღიარა აქტივების გამოყენების უფლება იმ იჯარებთან მიმართებაში, რომლის იჯარის ვადა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში იწურება. ამგვარი იჯარები მოკლევადიანი იჯარების მსგავსად აღირიცხება.
როგორც მოიჯარე, ორგანიზაცია ძველ პერიოდებში აკლასიფიცირებდა იჯარას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, იმის მიხედვით ხდებოდა თუ არა საიჯარო აქტივთან დაკავშირებული არსებითი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ფასს 16-ის მიხედვით, ორგანიზაცია უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას.

22. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს 16-ის დანერგვის შედეგად ორგანიზაციამ აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება აღიარა შემდეგნაირად:

კლასიფიკაცია ბასს 17-ით	აქტივების გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულება
საოპერაციო იჯარა	ორგანიზაციის ფილიალებისა და სათაო ოფისისთვის საჭირო ფართის იჯარებისთვის: აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხული ვალდებულებით.	აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის შესაძენად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრული სასესხო განაკვეთი მომსახურების ცენტრებისა და ოფისისთვის საჭირო ფართების შემთხვევაში არის 8.8%.

ორგანიზაციას იჯარით აღებული აქვს ფართები ფილიალებისთვის და სათაო ოფისისთვის. ყველა

როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ის არეები, რომელზეც გავლენა იქონია ფასს-16-ის დანერგვამ:

		31 დეკემბერი 2018	ფასს 16	1 იანვარი 2019
აქტივები				
აქტივების გამოყენების უფლება	(ა)	-	1,415,004	**1,415,004**
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	(ბ)	-	1,415,004	**1,415,004**

(ა) აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება არის წინა პერიოდში საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული ხელშეკრულებების ეფექტი.

(ბ) საიჯარო ვალდებულებების კორექტირება არის წინა პერიოდში საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული ხელშეკრულებების ეფექტი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმარტებული მინიმალური საიჯარო გადასახდელებისა და ფასს 16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებული საიჯარო ვალდებულების რეკონსილაციას:

	1 იანვარი 2019
წინასწარი შეწყვეტის უფლების გარეშე არსებული საოპერაციო იჯარების მინიმალური გადასახდელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
ხელშეკრულების პირობებში ცვლილების ეფექტი	1,750,976
გამოკლებული: საწყისი აღიარებისას ზღვრული სასესხო განაკვეთით დაანგარიშებული დისკონტირების ეფექტი	(335,972)
საიჯარო ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,415,004

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.
თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ორგანიზაცია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ორგანიზაცია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი ქმნის ეკონომიკურად გაზომვადი

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ორგანიზაციის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარდა დერივატივებისა.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ორგანიზაციამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ორგანიზაცია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით. გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

ფასს 9-ის მიხედვით ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

23. **მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ორგანიზაცია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

ა) 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
ბ) მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
გ) ფორს მაჟორი, როდესაც კლიენტი ხდება გადახდის უუნარო გარე ფაქტირების გამო, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ.

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ.

ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის

- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ორგანიზაციამ გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, შეაფასა დეფოლტის ალბათობაზე მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა და ამოღების განაკვეთი.

გაანალიზდა შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები:

- საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტი;
- ინფლაციის განაკვეთი.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ორგანიზაცია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის, სესხები სეგმენტებად დაჯგუფებულია

მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის გადანაცვლების ალბათობას გაუფასურების ეტაპებს შორის.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ორგანიზაცია აფასებს LGD პარამეტრებს გადეფოლტებული სესხების ამოღების ისტორიის მიხედვით. LGD მეთოდი მოიცავს მხოლოდ ფულად ნაკადებს. LGD გაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაციამ თავისი ფინანსური ვალდებულებები უნდა დააკლასიფიციროს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ორგანიზაციამ 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9-ის მიღების თარიღი) ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი

გადაიფაროს აღიარებული თანხები და ორგანიზაციას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა"). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისათვის და 2017 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი/ ლარი
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6766

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

ფინანსური მდგომარეობის სხვა აქტივებში შემავალი გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. გაცემული სესხებისა და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ისტორიული ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ოფისის აღჭურვილობა	5
სხვა	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

მიღებული და სუბორდინირებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ორგანიზაცია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სუბორდინირებული სესხები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომელსაც აქვს ყველაზე ნაკლები ძალა ფასიან ქაღალდებთან და სხვა სესხებთან შედარებით კომპანიის აქტივების მოთხოვნაზე. აქედან გამომდინაე თუ მსესხებელი დეფოლტდება, სუბორდინებული სესხები დაიფარება იმის შემდეგ რაც კომპანია ყველა სხვა ვალდებულებას დაფარავს სრულად.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი აქციებისა თუ ოფციონების გამოშვებასთან ნაჩვენებია კაპიტალში საგადასახადო გამოქვითვებით შემცირებული შემოსულობების სახით. ნებისმიერი ნამეტი თანხა, რომლითაც მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულება გადააჭარბებს ნომინალურ ღირებულებას, აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები ჩაიწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ის არის გამოცხადებული. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გაიშიფრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

იჯარები

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის კომპანია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახდო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

ანარიცხები

ანარიცხი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, რესურსების გადინება არის მოსალოდნელი და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად, ან ამ ვალდებულების მესამე მხარისთვის გადასაცემად ამ თარიღისათვის. განსაზღვრულია მოსალოდნელი კორექტირებული ფულადი ნაკადებისთვის შეწონილი ალბათობის გამოყენება, იმ მიზნით რომ ფულადი ნაკადების შეფასებებში აისახოს განუსაზღვრელობები და დისკონტირება, რათა მოხდეს ფულის დროითი ღირებულების ასახვა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200767904
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.09.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე გვანცელაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 23-07-87
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	95890992549720

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

2020 (ორიათას ოცი) წლის 29 (ოცდაცხრა) სექტემბერს მე, ეკატერინე გვანცელაძეს, ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ოფისი მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #39 "ა", პირველი სართული, მომმართა: **სოფიო დუღაშვილმა** (პ/ნ 01008028061) მან წარმომიდგინა სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი" ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს და მოითხოვა ფოტოასლის სისწორის დამოწმება სანოტარო წესით. მე ნოტარიუსი ეკატერინე გვანცელაძე ვამოწმებ წინამდებარე დოკუმენტის ფოტოასლის სისწორეს მის დედანთან. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება # 507) ჩვიდმეტი ლარი მუხლი 31, დღგ სამი ლარი და ექვსი თეთრი - თანახმად საქართველოს საგდასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ეკატერინე გვანცელაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200767908
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.09.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე გვანცელაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 23-07-87
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	35729199892520

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას **ოცი** წლის **ოცდაცხრა სექტემბერს**, მე, ნოტარიუსს ეკატერინე გვანცელაძეს, ჩემს სანოტარო ოფისში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. №39"ა", პირველი სართული, მომმართა: თარჯიმანმა **მეგი სარალიძემ**, (პირადი №01030021021), რომლის პირადობა ჩემთვის ცნობილია. მისი დიპლომის ასლი ინახება ჩემდამი რწმუნებულ სანოტარო ოფისში. მან მოითხოვა თარგმანზე მისი ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება სანოტარო წესით. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე, რომელმაც დაადასტურა რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს.

I Ms. Ekaterine Gvantseladze, notary public of Tbilisi, with my notary office located in #39a I. Chavchavadze ave., Tbilisi, was addressed by Ms. Maggie Saralidze (ID #01030021021) translator the identity of which is familiar to me. The copy of her diploma is kept at my notary office. She requested the notary certification of her signature of the translation. I, the notary warned her about her responsibility for an inaccurate translation. Ms. Maggie Saralidze stated that she has a good command of English and warranted the accuracy of the translation.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება № 507) **ოთხმოცი** ლარი – მუხლი 31, დღგ **თოთხმეტი ლარი და ორმოცი თეთრი** - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება № 507).

ნოტარიუსი ეკატერინე გვანცელაძე

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი"

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2019 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6

სრული შემოსავლის ანგარიშგება 7

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 13
5. მფლობელთა სხვა შენატანები 17
6. ფული და ფულის ეკვივალენტები 17
7. კლიენტებზე გაცემული სესხები 17
8. ძირითადი საშუალებები 19
9. აქტივების გამოყენების უფლება 20
10. საგადასახადო აქტივი 20
11. გადასახადები 21
12. მიღებული და სუბორდინირებული სესხები 22
13. სხვა ვალდებულებები 23
14. სააქციო კაპიტალი 23
15. სხვა შემოსავლები 23
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 24
17. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 24
18. სხვა ხარჯები 24
19. პირობითი ვალდებულებები 25
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 25
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 26
22. ცვლილებები საღრიცხვო პოლიტიკაში 27
23. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 29

T: +995 32 254 58 45
T: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტის" აქციონერებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ **სს "მისო ევრო კრედიტის"** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში ორგანიზაცია), რომელიც შედგება ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და თანდართული შენიშვნებით, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი დასკვნის საფუძველი

როგორც მე-12 შენიშვნაშია განმარტებული, ორგანიზაციამ დაკავშირებული მხარისგან მიიღო სესხები და სუბორდინირებული სესხები. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერში მიღებული სესხები და სუბორდინირებული სესხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია შესაბამისად 14,169,753 ლარის და 14,434,665 ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი აუდიტორული მტკიცებულება, რომ მიღებული სესხები და სუბორდინირებული სესხები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა შესაძლო საჭირო კორექტირების ეფექტი მიღებული სესხებისა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის ფინანსური რეპორტინგის პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

როგორც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმართული აუდიტის ნაწილი, ჩვენ პროფესიულ შეფასებას და სკეპტიციზმს ვინარჩუნებთ მთელი აუდიტის მანძილზე. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

23 სექტემბერი 2020

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	2,772,874	2,341,764
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	33,846,448	39,933,649
სხვა აქტივები		212,492	158,669
ძირითადი საშუალებები	8	528,592	288,505
აქტივის გამოყენების უფლება	9	3,465,672	-
საგადასახადო აქტივი	10	816,459	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	11	128,478	103,242
სულ აქტივები		**41,771,015**	**42,825,829**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	7,946,939	14,434,665
სუბორდინირებული სესხები	12	9,090,214	7,148,561
საიჯარო ვალდებულებები	9	3,184,554	-
სხვა ვალდებულებები	13	1,703,427	1,379,614
გადასახდელი გადასახადები	10	-	1,727,944
სულ ვალდებულებები		**21,925,134**	**24,690,784**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	1,000,000	500,000
გაუნაწილებელი მოგება და სხვა რეზერვები		18,845,881	17,635,045
მთლიანი კაპიტალი		**19,845,881**	**18,135,045**
ვალდებულებები და კაპიტალი		**41,771,015**	**42,825,829**

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ მიხეილ ნონიკაშვილი

ფინანსური მენეჯერი _____ გუჯა ცინცაძე

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი		19,484,487	35,175,167
საპროცენტო ხარჯი		(3,856,393)	(10,701,137)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		**15,628,094**	**24,474,030**
გაუფასურების ხარჯი	7	(6,828,518)	(3,157,081)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**8,799,576**	**21,316,949**
სხვა შემოსავალი	15	5,762,424	7,580,418
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(5,494,479)	(6,758,171)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	17	(4,947,934)	(5,087,334)
სხვა ხარჯი	18	(483,174)	(133,550)
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		(1,924,495)	(2,622,427)
მოგება დაბეგვრამდე		**1,711,918**	**14,295,885**
მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი	11	25,236	(3,110,756)
მთლიანი სრული შემოსავალი		**1,737,154**	**11,185,129**

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება და სხვა რეზერვები	სულ
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**250,000**	**(9,828,323)**	**(9,578,323)**
ტრანზაქციები მფლობელებთან (მე-5 შენიშვნა)	-	16,541,397	**16,541,397**
სააქციო კაპიტალის ზრდა	250,000	-	**250,000**
დივიდენდები	-	(263,158)	**(263,158)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	11,185,129	**11,185,129**
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**500,000**	**17,635,045**	**18,135,045**
სააქციო კაპიტალის ზრდა	500,000	-	**500,000**
დივიდენდები	-	(526,318)	**(526,318)**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,737,154	**1,737,154**
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,000,000**	**18,845,881**	**19,845,881**

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		**1,711,918**	**14,295,885**
კორექტირება:			
საპროცენტო შემოსავალი		(3,956,251)	(6,889,163)
საპროცენტო ხარჯი		1,162,216	10,438,088
სესხების გაუფასურების ხარჯი	7	6,828,518	3,157,081
ცვეთა და ამორტიზაცია	16	592,151	40,383
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან		1,924,495	2,622,427
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**8,263,047**	**23,664,701**
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში:			
კლიენტებზე გაცემული სესხები		3,244,870	(1,720,043)
სხვა აქტივები		(61,338)	(135,067)
სხვა ვალდებულებები		(30,202)	780,037
საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)		(2,544,403)	533,982
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**8,871,974**	**23,123,610**
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(2,274,446)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		**8,871,974**	**20,849,164**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(351,628)	(296,990)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		**(351,628)**	**(296,990)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
შემოდინება მიღებული სესხებიდან		3,803,702	2,814,738
მიღებული სესხების დაფარვა		(11,259,813)	(22,097,405)
საიჯარო ვალდებულებები		(638,044)	-
სააქციო კაპიტალის ზრდა		500,000	250,000
დივიდენდები		(526,318)	(263,158)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება ფინანსური საქმიანობიდან		**(8,120,473)**	**(19,295,825)**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**399,873**	**1,256,349**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		2,341,764	1,120,403
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		31,237	(34,988)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		**2,772,874**	**2,341,764**

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ორგანიზაციის მიერ მიღებულმა საპროცენტო შემოსავლებმა შეადგინა შესაბამისად, 15,528,237 და 28,286,003 ლარი.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ორგანიზაციის მიერ გადახდილმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა შესაბამისად, 2,694,177 და 263,048 ლარი.

10-40 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი" არის სააქციო საზოგადაოება („ორგანიზაცია"), რომელიც 2011 წლის 22 ნოემბერს დარეგისტრირდა საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404919102.

ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ").

ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ორგანიზაცია მომხმარებელს სთავაზობს მიკრო და მცირე სესხებს (უზრუნველყოფილს ავტომანქანებით).

ორგანიზაციის მმართველი ორგანო არის პარტნიორთა საერთო კრება. ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობა ყველა ფილიალში ხორციელდება ფილიალის მენეჯერის მიერ, რომელსაც წარადგენს აღმასრულებელი დირექტორი და ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას ჰქონდა 9 ფილიალი საქართველოს მთავარ ქალაქებში. ორგანიზაციის ოფისი მდებარეობს გიორგი საკაძის მეორე გასასვლელში №11, თბილისი, საქართველო.

აქციონერები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქციონერები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
Zuk China Stone Works Limited	75.51%	75.51%
D. Mody Properties LTD	7.99%	7.99%
Iosef Reuven Grenikas	6.5%	6.5%
Uri Zuk	5%	5%
Oren Duanias	3%	3%
Eyal Duanias	2%	2%
	100%	**100%**

მოშე ზუკი იყო ორგანიზაციის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბ) ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების - #281/04 მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი რეგულაციები. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით ორგანიზაციას არ აქვს უფლება გასცეს სესხები ფიზიკური პირების გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე. ახალი რეგულაციის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს ფინანსური სისტემის სტაბილური და მდგრადი ოპერირება და წაახალისოს ჯანსაღი გარემო სესხის გაცემისთვის.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

ორგანიზაცია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, რომელიც ასევე ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. ანგარიშგებაში თანხები დამგვალებულია ათასებამდე, თუ სხვანაირად არ არის მითითებული. ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული საღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2019 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 16 - იჯარა
- ფასიკ 23

ფასს 16 - ის ცვლილებების ეფექტი მოცემულია მე-19 შენიშვნაში. სხვა ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც ბასსკ-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ ორგანიზაციაზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური ორგანიზაციის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია ორგანიზაციის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ფასიკ 23-ში „მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, როგორ გამოიყენება ბასს 12-ის აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები იმ შემთხვევაში, როდესაც გაურკვეველია მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებული მიდგომები. ასეთ შემთხვევაში, ორგანიზაციამ მიმდინარე ან გადავადებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება უნდა აღიაროს და შეაფასოს ბასს 12-ის მოთხოვნების გამოყენებით, მაგრამ მოცემული ინტერპრეტაციის შესაბამისად განსაზღვრული საგადასახადო მოგების (ან ზარალის), საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტებისა და საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში, არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან არის ეფექტური და რომელთაც შესაძლოა ეფექტი ჰქონდეს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე არის შემდეგი:

- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება)
- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება)
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ამჟამად, ორგანიზაცია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სხვა

ორგანიზაცია არ ვარაუდობს, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ

იჯარის ვადები, ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა და საიჯარო გადახდები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ორგანიზაცია აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოსთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ იჯარის განახლების შესაძლებლობა განიხილება ბიზნეს პროცესების შესწავლიდან გამომდინარე და არა კონტრაქტში განსაზღვრული პირობის მიხედვით. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი აღიარება გულისხმობს სამომავლო გადახდების დაანგარიშებას მიმდინარე სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

3, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ორგანიზაცია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ორგანიზაცია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახდო დეკლარაციების დასაბუთება, თუმცა მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად ორგანიზაცია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოვებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ორგანიზაცია დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	2,676,382	2,332,768
გაცემული სესხები	33,846,448	39,933,649
	36,522,830	**42,266,417**

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ორგანიზაცია მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	7,946,939	-	**7,946,939**
სუბორდინირებული სესხები	3,380,760	14,563,590	**17,944,350**
საიჯარო ვალდებულებები	839,998	2,982,600	**3,822,598**
სხვა ვალდებულებები	1,703,427	-	**1,703,427**
	13,871,124	**17,546,190**	**31,417,314**

ყველა ფინანსური ვალდებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 1 წლამდე ვადით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,322,943	449,931	**2,772,874**
გაცემული სესხები	33,769,388	77,060	**33,846,448**
სულ ფინანსური აქტივები	**36,092,331**	**526,991**	**36,619,322**

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	სულ
მიღებული სესხები	-	7,946,939	**7,946,939**
სუბორდინირებული სესხები	-	9,090,214	**9,090,214**
საიჯარო ვალდებულებები	459,555	2,724,999	**3,184,554**
სხვა ვალდებულებები	1,372,446	330,981	**1,703,427**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,832,001**	**20,093,133**	**21,925,134**
ღია საბალანსო პოზიცია	**34,260,330**	**(19,566,142)**	**14,694,188**

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,264,924	76,840	**2,341,764**
გაცემული სესხები	39,534,000	399,649	**39,933,649**
სულ ფინანსური აქტივები	**41,798,924**	**476,489**	**42,275,413**

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	სულ
მიღებული სესხები	-	14,434,665	**14,434,665**
სუბორდინირებული სესხები	-	7,148,561	**7,148,561**
სხვა ვალდებულებები	1,246,064	133,550	**1,379,614**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,246,064**	**21,716,776**	**22,962,840**
ღია საბალანსო პოზიცია	**40,552,860**	**(21,240,287)**	**19,312,573**

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. მოგებაზე გავლენა მოგება/ზარალის უწყისსა და კაპიტალზე ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების საფუძველზე 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	(ლარი / აშშ დოლარი)	
მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაზე	**2019**	**2018**
20% ზრდა	(3,302,032)	(4,248,057)
20% შემცირება	3,302,032	4,248,057

- **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ორგანიზაციის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ორგანიზაციის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

5. მფლობელთა სხვა შენატანები

	2018
პორტფელის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	**34,134,929**
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება:	**17,593,532**
მთლიანი პორტფელი	34,134,929
გაუფასურება	(11,994,007)
სხვა (საპროცენტო შემოსავლის კორექტირება ფასს 9-ის მიხედვით)	(4,547,390)
პორტფელის გაყიდვიდან მიღებული სარგებელი	**16,541,397**

2018 წლის 30 ნოემბერს ორგანიზაციამ მიყიდა სესხის პორტფელი დაკავშირებულ მხარეს - შპს „ევროკრედიტ +“-ს 34,124,929 ლარად. შპს „ევროკრედიტ +“-მა დაფარა ვალდებულებები სესხების გადახურვით (გაყიდვის ფასით), რომელიც მისგან ორგანიზაციას ჰქონდა აღებული (იხ. მე-12 შენიშვნა). გაყიდული პორტფელის უმეტესი ნაწილი შეადგენდა ვადაგადაცილებულ სესხებს.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	96,492	8,996
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,910,228	2,117,893
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	375,231	74,349
ფული გზაში	390,923	140,526
	2,772,874	**2,341,764**

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-4 შენიშვნაში.

7. კლიენტებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მთლიანი გაცემული სესხები	47,199,673	47,193,403
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(13,353,225)	(7,259,754)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	**33,846,448**	**39,933,649**

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2019		
გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	**სულ სესხები**	**ECL**	**წმინდა სესხები**
მიმდინარე და გაუფასურების ნიშნების გარეშე	26,804,567	(2,833,282)	23,971,285
30 დღემდე ვადაგადაცილებით	2,472,404	(402,523)	2,069,881
30–60 დღემდე ვადაგადაცილებით	908,732	(225,203)	683,529
60–90 დღემდე ვადაგადაცილებით	584,053	(196,277)	387,776
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	12,149,895	(7,517,209)	4,632,686
რესტრუქტურიზებული (90 დღეზე ნაკლები)	1,086,433	(218,747)	867,686
რესტრუქტურიზებული (90 დღეზე მეტი)	3,193,589	(1,959,984)	1,233,605
	47,199,673	**(13,353,225)**	**33,846,448**

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2018		
გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	სულ სესხები	ECL	წმინდა სესხები
მიმდინარე და გაუფასურების ნიშნების გარეშე	23,459,451	(2,099,102)	21,360,349
30 დღემდე ვადაგადაცილებით	7,009,575	(850,825)	6,158,750
30–60 დღემდე ვადაგადაცილებით	2,687,813	(470,279)	2,217,534
60–90 დღემდე ვადაგადაცილებით	1,645,119	(387,755)	1,257,364
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	5,610,798	(2,540,645)	3,070,153
რესტრუქტურიზებული (90 დღეზე ნაკლები)	5,302,165	(260,416)	5,041,749
რესტრუქტურიზებული (90 დღეზე მეტი)	1,478,482	(650,732)	827,750
	47,193,403	**(7,259,754)**	**39,933,649**

ორგანიზაციამ დააწესა შიდა პოლიტიკა უზრუნველყოფილ სესხებზე. სესხები უზრუნველყოფილია სატრანსპორტო საშუალებებით. უზრუნველყოფის შეფასება ხდება LTV კოეფიციენტის დახმარებით (მაქსიმუმი კოეფიციენტი არის 85% ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით).

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	
	12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურების გარეშე	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,139,841**	**928,536**	**3,191,377**	**7,259,754**
გადასვლა პირველ ეტაპზე	1,188,120	(484,364)	(703,756)	-
გადასვლა მეორე ეტაპზე	(67,443)	84,404	(16,961)	-
გადასვლა მესამე ეტაპზე	(284,613)	(416,570)	701,183	-
სესხის გაუფასურების ხარჯი წლის განმავლობაში	(544,613)	332,735	7,040,396	**6,828,518**
ჩამოწერა	-	-	(735,047)	**(735,047)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,431,292**	**444,741**	**9,477,192**	**13,353,225**

7. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	
	12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურების გარეშე	სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის ბასს 39-ის მიხედვით				-
კორექტირება ფასს 9-ის მიხედვით				16,306,268
ნაშთი წლის 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9-ის მიხედვით	**4,933,500**	**1,515,472**	**9,857,296**	**16,306,268**
გადასვლა პირველ ეტაპზე	109,284	(91,957)	(17,327)	**-**
გადასვლა მეორე ეტაპზე	(593,455)	593,598	(143)	**-**
გადასვლა მესამე ეტაპზე	(2,043,584)	(4,797)	2,048,381	**-**
სესხის გაუფასურების ხარჯი წლის განმავლობაში	734,096	(1,083,780)	3,506,765	**3,157,081**
ჩამოწერა	-	-	(209,588)	**(209,588)**
გაყიდული სესხები წლის განმავლობაში	-	-	(11,994,007)	**(11,994,007)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,139,841**	**928,536**	**3,191,377**	**7,259,754**

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	**ოფისის აღჭურვილობა**	**იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა**	**სხვა**	**სულ**
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**29,145**	**-**	**-**	**29,145**
შესყიდვა	174,293	126,969	-	**301,262**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**203,438**	**126,969**	**-**	**330,407**
შესყიდვა	189,733	144,122	17,773	**351,628**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**393,171**	**271,091**	**17,773**	**682,035**
აკუმულირებული ცვეთა				
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(1,519)**	**-**	**-**	**(1,519)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(21,338)	(19,045)	-	**(40,383)**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(22,857)**	**(19,045)**	**-**	**(41,902)**
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(75,976)	(33,425)	(2,140)	**(111,541)**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(98,833)**	**(52,470)**	**(2,140)**	**(153,443)**
ნეტო საბალანსო ღირებულება				
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**180,581**	**107,924**	**-**	**288,505**
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**294,338**	**218,621**	**15,633**	**528,592**

9. აქტივების გამოყენების უფლება

ორგანიზაცია ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრიდან იყენებს. ორგანიზაციამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტზე გადასვლა არ გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) საკუთარი კაპიტალის საწყის ნაშთში. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ მე-22 შენიშვნაში.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აქტივის გამოყენების უფლება
2019 წლის 1 იანვრისთვის	**1,415,004**
ახალი იჯარა	2,531,278
ამორტიზაცია	(480,610)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,465,672**

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საიჯარო ვალდებულება
2019 წლის 1 იანვრისთვის	**1,415,004**
ახალი იჯარა	2,177,146
საპროცენტო ხარჯი	193,961
საიჯარო გადასახადი	(638,044)
უცხოური ვალუტის გადაფასება	36,487
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,184,554**

10. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ორგანიზაციებმა გადასახადები უნდა გადაიხადონ გაერთიანებული საგადასახადო ანგარიშზე არსებული ნაშთის შესაბამისად, აღნიშნულის გამო 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია განაშთული.

11. გადასახადები

15%-იანი დროებითი სხვაობები გამოწვეულია:	1 იანვარი 2018	გამოკლებული (დამატებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2018	გამოკლებული (დამატებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2019
გაცემული სესხები	**2,592,458**	(1,364,005)	**1,228,453**	(495,512)	**732,941**
ძირითადი საშუალებები	**-**	(43,276)	**(43,276)**	(36,013)	**(79,289)**
აქტივის გამოყენების უფლება	**-**	-	**-**	(519,851)	**(519,851)**
საიჯარო ვალდებულებები	**-**	-	**-**	477,683	**477,683**
სხვა ვალდებულებები	**-**	-	**-**	20,648	**20,648**
წინა წლებში დაგროვილი ზარალი	**-**	-	**-**	944,909	**944,909**
გადავადებული საგადასახადო აქტივი	**2,592,458**	**(1,407,281)**	**1,185,177**	**391,864**	**1,577,041**
აუღიარებელი დროებითი სხვაობები					
გაცემული სესხები	**(2,445,940)**	1,364,005	**(1,081,935)**	348,994	**(732,941)**
წინა წლებში დაგროვილი ზარალი	**-**	-	**-**	(715,622)	**(715,622)**
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი	**146,518**	**(43,276)**	**103,242**	**25,236**	**128,478**

გადავადებული საგადასახადო აქტივი არის აღიარებული მხოლოდ იმ აქტივებისთვის, რომლისთვისაც ხელმძღვანელობა სჯერა, რომ შეძლებს აღნიშნული აქტივის გამოყენებას შემდეგი 3 წლის განმავლობაში.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	(3,067,480)
დროებითი სხვაობების ეფექტი	25,236	(43,276)
მოგების გადასახადის ხარჯი/(შემოსავალი)	**25,236**	**(3,110,756)**

დროებით სხვაობებში ცვლილებების საგადასახადო ეფექტი აღრიცხული 15%-ანი განაკვეთით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
მოგება დაბეგვრამდე	**1,711,918**	**14,295,885**
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი	**(256,788)**	**(2,144,383)**
აუღიარებელი საგადასახადო აქტივის ეფექტი	(715,622)	(1,081,935)
წინა პერიოდში აუღიარებელი საგადასახადო აქტივის ეფექტი	348,994	-
მუდმივი სხვაობების ეფექტი	648,652	115,562
მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი)	**25,236**	**(3,110,756)**

12. მიღებული და სუბორდინირებული სესხები

შემდეგ ცხრილში მოცემულია მიღებული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

				31 დეკემბერი 2019	
	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	ვალუტა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ევროკრედიტ +	24%	3-თებ-20	დოლარი	1,412,712	7,431
Tom Holdings Ltd	12%	31-ივლ-2020	დოლარი	1,433,490	-
Ronni Biram Investments Ltd	12%	31-ივლ-2020	დოლარი	1,433,910	-
WGH Georgia Investments Ltd	20%	მოთხოვნამდე	დოლარი	3,649,398	9,998
				7,929,510	**17,429**

WGH Georgia Investments Ltd-ისგან მიღებული სესხი მოთხოვნამდეა და მისი დაფარვის მოთხოვნა მსესხებელს შეუძლია სრულად ნებისმიერ დროს. როგორც მე-20 განმარტებით შენიშვნაშია გაშიფრული WGH Georgia Investments Ltd და ორგანიზაცია არიან საერთო კონტროლს დაქვემდებარებულები.

შემდეგ ცხრილში მოცემულია მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

				31 დეკემბერი 2018	
	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	ვალუტა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ევროკრედიტ +	24%	3-თებ-20	დოლარი	12,487,537	1,947,128
				12,487,537	**1,947,128**

შემდეგ ცხრილში მოცემულია სუბორდინირებული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

				31 დეკემბერი 2019	
	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	ვალუტა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ევროკრედიტ +	24%	1-დეკ-24	დოლარი	3,752,973	792,134
ევროკრედიტ +	24%	1-დეკ-24	დოლარი	3,752,973	792,134
				7,505,946	**1,584,268**

შემდეგ ცხრილში მოცემულია სუბორდინირებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

				31 დეკემბერი 2018	
	საპროცენტო განაკვეთი	დასრულების თარიღი	ვალუტა	ძირი	დარიცხული პროცენტი
ევროკრედიტ +	24%	1-დეკ-24	დოლარი	3,502,879	71,401
ევროკრედიტ +	24%	1-დეკ-24	დოლარი	3,502,879	71,402
				7,005,758	**142,803**

სუბორდინირებული სესხის ძირი გადაიხდება დასრულების თარიღისას, ხოლო სესხის პროცენტი ყოველთვიურად.

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ და სუბორდინირებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად ასევე არაფულად ნაკადებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2019	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	21,583,226	62,245,777
ფულადი ნაკადები	(10,150,288)	(19,557,542)
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდში დარიცხული პროცენტი	3,662,432	10,701,137
მიღებული სესხების და სესხის პორტფელის გადახურვა (მე-5 შენიშვნა)	-	(34,134,929)
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი	1,941,783	2,328,783
ნაშთი წლის ბოლოს	**17,037,153**	**21,583,226**

13. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოკლევადიანი საიჯარო გადასახდელები*	1,160,982	826,000
სხვა ფინანსური ვალდებულებები	542,445	553,614
	1,703,427	**1,379,614**

* მოკლევადიანი საიჯარო გადასახდელები მოიცავს იჯარებს 12 თვეზე ნაკლები ვადით.

14. სააქციო კაპიტალი

აქციონერები	პროცენტი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
Zuk China Stone Works JSC	75.51%	755,100	377,550
D. Mody Properties LTD	7.99%	79,900	39,950
Iosef Reuven Grenikas	6.5%	65,000	32,500
Uri Zuk	5%	50,000	25,000
Oren Duanias	3%	20,000	10,000
Eyal Duanias	2%	30,000	15,000
	100%	**1,000,000**	**500,000**

ეროვნული ბაკის რეგულაციების შესაბამისად კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით 2019 წლის 28 ივნისს ორგანიზაციამ სააქციო კაპიტალი 500,000 ლარით გაზარდა.

15. სხვა შემოსავლები

	2019	2018
ჯარიმები და საკომისიოები	5,263,999	6,641,720
წინსწრებით დაფარვის საკომისიო	242,147	266,303
სხვა	256,278	672,395
	5,762,424	**7,580,418**

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
მარკეტინგის ხარჯი	(957,475)	(995,287)
იურიდიული ხარჯები	(765,084)	(1,073,733)
ცვეთა და ამორტიზაცია	(592,151)	(40,383)
იჯარის ხარჯი	(575,483)	(997,387)
აიტი კონსულტაციის ხარჯი	(497,808)	(308,350)
მივლინების ხარჯი	(288,740)	(253,545)
კომუნიკაცია	(270,942)	(165,693)
დასაკუთრებულ მანქანებთან დაკავშირებული ხარჯი	(248,140)	(694,146)
ოფისის ხარჯი	(231,795)	(395,839)
უსაფრთხოების ხარჯი	(179,843)	(179,023)
სესხის განაცხადის შემოწმების ხარჯი	(170,664)	(376,512)
საწვავის ხარჯი	(145,768)	(257,414)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი*	(145,633)	(663,890)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(54,977)	(56,627)
ბანკის საკომისიოს ხარჯი	(35,410)	(44,795)
სხვა	(334,566)	(255,547)
	(5,494,479)	**(6,758,171)**

*საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები მოიცავს აუდიტის საფასურს 66,790 ლარის და 69,686 ლარის ოდენობით 2019 და 2018 წლებისთვის, შესაბამისად.

ორგანიზაციამ მანქანების დასაკუთრებასთან დაკავშირებული ხარჯების, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, აღნიშნული სერვისები ნაწილის შეძენის ნაცვლად, თანამშრომლების მოვალეობების გაზარდა.

17. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2019	2018
ხელფასი	(4,701,847)	(4,583,163)
სხვა სარგებელი	(246,087)	(504,171)
	(4,947,934)	**(5,087,334)**

18. სხვა ხარჯები

	2019	2018
ინვესტორების მოძიების ხარჯები	(408,792)	(133,550)
სხვა	(74,382)	-
	(483,174)	**(133,550)**

2018 წლის 1 სექტემბერს ორგანიზაციას და Zuk China Stone Limited-შორის გაფორმდა ხელშეკრულება ფინანსურ მომსახურებაზე, რაც დაკავშირებულია Zuk China Stone Limited-ის მიერ ორგანიზაციისთვის ინვესტორების მოძიებასთან.

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა.

ორგანიზაციის კლიენტების მხრიდან სესხის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანიზაცია იწყებს სასამართლო დავას კლიენტის წინააღმდეგ. ასეთი დავის უმაღლესი შესაძლო შედეგი არის კლიენტისგან მისაღები სესხის თანხა (მოიცავს დარიცხულ პროცენტს და სხვა ხარჯებს).

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კლიენტის მიერ სასესხო ვალდებულების დაფარვა ხასიათდება განუსაზღვრელობით, ორგანიზაცია ქმნის ანარიცხს სესხების გაუფასურებისთვის, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

მმართველობის ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) ორგანიზაციას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის, ორგანიზაციას ჯერ არ აქვს შესრულებული აღნიშნული ვალდებულება.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ორგანიზაციასთან (მათ შორის, დამფუძნებელ ორგანიზაციასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ორგანიზაციაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ორგანიზაციაზე;

(ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2019 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	აქციონერები	ძირითადი მმართველი პირები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ
მიღებული სესხები	-	-	5,079,539
სუბორდინირებული სესხები	-	-	9,090,214
სხვა ვალდებულებები	-	-	1,387,744
სხვა აქტივები	-	-	68,418
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	-	(42,183)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	(182,625)	-
საპროცენტო ხარჯი	-	-	(3,032,953)
ფინანსური მომსახურება	(408,792)	-	-

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2018 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	აქციონერები	ძირითადი მმართველი პირები	საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ
მიღებული სესხები	-	-	14,434,665
სუბორდინირებული სესხები	-	-	7,148,561
სხვა ვალდებულებები	-	-	995,526
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(160,985)	-	(695,548)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(396,368)	-
საპროცენტო ხარჯი	-	-	(10,701,137)
ფინანსური მომსახურება	(133,550)	-	-

2018 წელს სესხის პორტფელი გაყიდული იქნა დაკავშირებულ მხარეზე (დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კორონავირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა. 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება.

2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები.

2020 წლის 24 მაისიდან საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და საყოველთაო კარანტინი. 2020 წლის 8 ივნისიდან დაშვებულია ყველა ეკონომიკური საქმიანობა სოციალური დისტანციის დაცვითა და პირბადით, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია, თუმცა პანდემიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლო ეფექტი შეიძლება იყოს შემდეგი:

- გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის ზრდა მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის გაუარესების გამო.

სესხები და სუბორდინირებული სესხები

2020 წლის 12 მარტს მოხდა ევრო კრედიტ+-ისგან მიღებული სესხების, მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებების და სუბორდინირებულ სესხებზე დარიცხული პროცენტის რეფინანსირება მოხდა, ახალ სუბორდინირებულ სესხად (4,328,836 ლარის ოდენობით 6 წლის ვადით).

2020 წლის ივლისში, ორგანიზაციამ სრულად დაფარა Tom Holdings Ltd-ისგან და Ronni Biram Investments ltd-ისგან მიღებული სესხები.

22. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ორგანიზაცია ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრიდან იყენებს. ორგანიზაციამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტზე გადასვლა არ გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2019 წლის 1 იანვარი) საკუთარი კაპიტალის საწყის ნაშთში.
ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელმაც ჩაანაცვლა ბასს 17 – „იჯარა“ და ფასიკ 4 – „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა კომპონენტი იჯარას“. ფასს 16-ის შესაბამისად მიღებული იჯარა აღიარდება, როგორც აქტივი და ვალდებულება.

ფასს 16 ითვალისწინებს გამარტივებულ მიდგომას იმ საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ვადა 12 თვეზე ნაკლებია ან რომელიც უკავშირდება დაბალი ღირებულების მქონე აქტივის იჯარას. გაცემული საიჯარო ხელშეკრულებების აღრიცხვისთვის ფასს 16-ის მოთხოვნები არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის მოთხოვნებისგან. ორგანიზაციას არ აქვს მნიშვნელოვანი საიჯარო საქმიანობა, როგორც მეიჯარეს.

გადასვლის მეთოდი და გამოყენებული გათავისუფლება

ორგანიზაციამ გამოიყენა პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა: სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არ ევალება იმის ხელახლა შეფასება, ხელშეკრულება წარმოადგენს თუ არა საიჯარო ხელშეკრულებას, ან შეიცავს თუ არა იგი იჯარას. ისეთი ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე ბასს 17-ის „იჯარა“ და ფასიკ 4-ის „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“ შესაბამისად კლასიფიცირებული არ ჰქონდა, როგორც იჯარის შემცველი ხელშეკრულება, არ მოხდა ფასს 16-ის გამოყენება. ფასს 16-ის მიხედვით იჯარის იდენტიფიკაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც დაიწყო ან ცვლილება შევიდა 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ.
ფასს 16-ით დაშვებულია გათავისუფლებები, რომელთა ნაწილი ეხება სტანდარტის პირველადი გამოყენების შემთხვევას. ადრე, ბასს 17-ით საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული იჯარის მიმართ ორგანიზაციამ გამოიყენა ფასს 16-ის შემდეგი გათავისუფლებები:
ა) არ გაითვალისწინა თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივის გამოყენების უფლების შეფასებაში, იმ იჯარებისთვის, რომლებისთვისაც აქტივების გამოყენების უფლება იყო განსაზღვრული ისე, როგორც განსაზღვრა მოხდებოდა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ფასს 16-ის გამოყენების შემთხვევაში;
ბ) არ აღიარა აქტივების გამოყენების უფლება იმ იჯარებთან მიმართებაში, რომლის იჯარის ვადა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში იწურება. ამგვარი იჯარები მოკლევადიანი იჯარების მსგავსად აღირიცხება.
როგორც მოიჯარე, ორგანიზაცია ძველ პერიოდებში აკლასიფიცირებდა იჯარას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად, იმის მიხედვით ხდებოდა თუ არა საიჯარო აქტივთან დაკავშირებული არსებითი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ფასს 16-ის მიხედვით, ორგანიზაცია უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას.

22. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში (გაგრძელება)

ფასს 16-ის დანერგვის შედეგად ორგანიზაციამ აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება აღიარა შემდეგნაირად:'

კლასიფიკაცია ბასს 17-ით	აქტივების გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულება
საოპერაციო იჯარა	ორგანიზაციის ფილიალებისა და სათაო ოფისისთვის საჭირო ფართის იჯარებისთვის: აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხული ვალდებულებით.	აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის შესაძენად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრული სასესხო განაკვეთი მომსახურების ცენტრებისა და ოფისისთვის საჭირო ფართების შემთხვევაში არის 8.8%.

ორგანიზაციას იჯარით აღებული აქვს ფართები ფილიალებისთვის და სათაო ოფისისთვის. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ის არეები, რომელზეც გავლენა იქონია ფასს-16-ის დანერგვამ:

		31 დეკემბერი 2018	ფასს 16	1 იანვარი 2019
აქტივები				
აქტივების გამოყენების უფლება	(ა)	-	1,415,004	**1,415,004**
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	(ბ)	-	1,415,004	**1,415,004**

(ა) აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება არის წინა პერიოდში საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული ხელშეკრულებების ეფექტი.

(ბ) საიჯარო ვალდებულებების კორექტირება არის წინა პერიოდში საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებული ხელშეკრულებების ეფექტი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმარტებული მინიმალური საიჯარო გადასახდელებისა და ფასს 16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვარს აღიარებული საიჯარო ვალდებულების რეკონსილაციას:

	1 იანვარი 2019
წინასწარი შეწყვეტის უფლების გარეშე არსებული საოპერაციო იჯარების მინიმალური გადასახდელები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
ხელშეკრულების პირობებში ცვლილების ეფექტი	1,750,976
გამოკლებული: საწყისი აღიარებისას ზღვრული სასესხო განაკვეთით დაანგარიშებული დისკონტირების ეფექტი	(335,972)
საიჯარო ვალდებულებები 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,415,004

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.
თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.
თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ორგანიზაცია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ორგანიზაცია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ორგანიზაციის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გარდა დერივატივებისა.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ორგანიზაციამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI -ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ორგანიზაცია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით. გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

ფასს 9-ის მიხედვით ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ორგანიზაცია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

ა) 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
ბ) მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
გ) ფორს მაჟორი, როდესაც კლიენტი ხდება გადახდის უუნარო გარე ფაქტირების გამო, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ.

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ.

ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების; და

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ორგანიზაციამ გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშნველოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, შეაფასა დეფოლტის ალბათობაზე მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა და ამოღების განაკვეთი.

გაანალიზდა შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები:

- საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტი;
- ინფლაციის განაკვეთი.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ორგანიზაცია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის, სესხები სეგმენტებად დაჯგუფებულია სესხის უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით. PD გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის გადანაცვლების ალბათობას გაუფასურების ეტაპებს შორის.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ორგანიზაცია აფასებს LGD პარამეტრებს გადეფოლტებული სესხების ამოღების ისტორიის მიხედვით. LGD მეთოდი მოიცავს მხოლოდ ფულად ნაკადებს. LGD გაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაციამ თავისი ფინანსური ვალდებულებები უნდა დააკლასიფიციროს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ორგანიზაციამ 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9-ის მიღების თარიღი) ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ორგანიზაციას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისათვის და 2017 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი/ ლარი
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6766

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

ფინანსური მდგომარეობის სხვა აქტივებში შემავალი გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. გაცემული სესხებისა და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ისტორიული ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ოფისის აღჭურვილობა	5
სხვა	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

მიღებული და სუბორდინირებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ორგანიზაცია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სუბორდინირებული სესხები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომელსაც აქვს ყველაზე ნაკლები ძალა ფასიან ქაღალდებთან და სხვა სესხებთან შედარებით კომპანიის აქტივების მოთხოვნაზე. აქედან გამომდინაე თუ მსესხებელი დეფოლტდება, სუბორდინებული სესხები დაიფარება იმის შემდეგ რაც კომპანია ყველა სხვა ვალდებულებას დაფარავს სრულად.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი აქციებისა თუ ოფციონების გამოშვებასთან ნაჩვენებია კაპიტალში საგადასახადო გამოქვითვებით შემცირებული შემოსულობების სახით. ნებისმიერი ნამეტი თანხა, რომლითაც მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულება გადააჭარბებს ნომინალურ ღირებულებას, აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები ჩაიწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ის არის გამოცხადებული. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გაიშიფრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

იჯარები

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრიდან. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის გამო. შესაბამისად, შესადარისი პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის კომპანია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახდო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

ანარიცხები

ანარიცხი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, რესურსების გადინება არის მოსალოდნელი და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

ანარიცხის საუკეთესო შეფასება არის ის თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად, ან ამ ვალდებულების მესამე მხარისთვის გადასაცემად ამ თარიღისათვის. განსაზღვრულია მოსალოდნელი კორექტირებული ფულადი ნაკადებისთვის შეწონილი ალბათობის გამოყენება, იმ მიზნით რომ ფულადი ნაკადების შეფასებებში აისახოს განუსაზღვრელობები და დისკონტირება, რათა მოხდეს ფულის დროითი ღირებულების ასახვა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.